ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 6

ქ. ონი 20. 06. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ბესიკი მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, მერაბ ბიჭაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, თამაზ მეტრეველი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ნინო გობეჯიშვილი, ნონა მაისურაძე, ნოდარ ბურდილაძე, გიორგი მეშვილდიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3.,,2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მოხდა ყოფილი ბაღის შენობაში დროებით შესახლებული ოჯახების გამოყვანის ხელშეწყობის მიზნით, რათა დროულად მოხდეს მათთვის ბინების მოძიება და დაქირავება. აღნიშნული ბაღის შენობა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება სასწრაფო დემონტაჟს.
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. ,,2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სოფლებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების მდგომარეობის, კერძოდ, ხარისხისა და მიწოდების ვადების შესახებ და ამ კუთხით არსებულ პრობლემებზე.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე